



"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ფ. ზ. ში.

ფრიდონ შენგელია

„16“ „09“ 2015 წელი

ეგზ. N2

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს
სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2012, 2013 და 2014 წლების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 56/00

შემოკლებები:

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - აპარატი;
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო
მინისტრის აპარატი - აპარატი;
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი - სახელმწიფო მინისტრი;
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;
საქართველოს მთავრობის პრემიერ-მინისტრი - პრემიერ-მინისტრი.

სარჩევი

მნიშვნელოვანი შედეგები	3
1. არაფინანსური აქტივების მართვა.....	5
1.1 ინვენტარიზაცია.....	5
1.2 აქტივების დაცულობაზე კონტროლი.....	5
1.3 უძრავი ქონების რეგისტრაცია	6
2. ბიუჯეტის დაგეგმვა და ასიგნებათა გადანაწილება	6
3. შრომის ანაზღაურება	7
4. მთავრობის სარეზერვო ფონდები	9
4.1. პროექტი „ნაბიჯი მშვიდობისკენ I ეტაპი“.....	11
4.2 პროექტი „ნაბიჯი მშვიდობისკენ II ეტაპი“.....	13
4.3 პროექტი „ჯანდაცვის სიტემის პოპულარიზაცია“.....	14
4.4. პროექტი „კულტურული დიალოგი“.....	17
4.5. პროექტი „პედაგოგი მშვიდობის რესურსი“.....	19
5. მივლინებები ქვეყნის გარეთ	21
6. მობილურ ტელეფონებზე გაწეული ხარჯები.....	22
7. საწვავის ხარჯი.....	23

მნიშვნელოვანი შედეგები

1. აპარატის ხელმძღვანელობას 2014 წლების ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებია;
2. 2014 წელს არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვისთვის არ იყო გახსნილი საინვენტარიზაციო ბარათები თითოეული საინვენტარიზაციო ნომრის მიხედვით.
3. აპარატში 2014 წელს არ იყო გაფორმებული ხელშეკრულებები სრულ პასუხისმგებლობაზე აპარატის თანამშრომლებთან, მათზე მინდობილი ორგანიზაციის მატერიალურ ფასეულობის შენახვისა და დაცულობის მიზნით.
4. 2014 წლის ბალანსის შედგენის თარიღისთვის აპარატს სარგებლობაში გადმოცემული ფართი არ ჰქონდა შეფასებული და საბალანსო მუხლში - „შენობა-ნაგებობები“ ირიცხებოდა ადრე კუთვნილებაში არსებული ფართის საბალანსო ღირებულებით.
5. მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილების ამოქმედების შემდეგ, პრემიების სახით გაწეული დანახარჯები შემცირდა 75 645 ლარით (58%-ით), თუმცა თითქმის იგივე ოდენობით, 75 687 ლარით (465%) გაიზარდა დანამატების ოდენობა. შესაბამისად, რეგულაციის შემოღებას ეფექტი არ მოუხდენია და ერთი სახის განაცემი ჩანაცვლდა მოერე სახის განაცემით.
6. ა(ა)იპ-პედაგოგთა კავშირს „განათლება და სამყარო“ აპარატში პროექტი „პედაგოგი მშვიდობის რესურსი“ განსახილველად შეტანილი ჰქონდა 2012 წლის 20 მარტს, ხოლო აპარატის ხელმძღვანელობის მიმართვა და პრემიერ-მინისტრის ბრძანება დაფინანსების გამოყოფაზე, გამოცემულია შესაბამისად 15 და 5 დღით ადრე. ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ აპარატის მიერ პროექტების განხილვა ატარებდა ფორმალურ ხასიათს.
7. პროექტის „ნაბიჯი მშვიდობისაკენ“, რომელსაც ახორციელებდა არასამთავრობო ორგანიზაცია, შედგა 2012 წლის 4-13 მაისს, ფაქტობრივი ხარჯთანუსხით პროექტის ხარჯებმა 10 915 ლარი შეადგინა, თუმცა რიგი წარმოდგენილი დოკუმენტებისა არ იძლევა საკმარის რწმუნებას იმის თაობაზე, რომ ეს ხარჯები გაწეულია პროექტის ფარგლებში, ხოლო რიგ შემთხვევებში, წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტები და ანგარიშები არ არის ერთმანეთთან შესაბამისობაში, რაც ეჭვს ქვეშ აყენებს პროექტისთვის გამოყოფილი თანხების მიზნობრივად გამოყენებას. ორგანიზატორთა განმარტებით ნაწილი ხარჯებისა, რომელიც არ იყო ასახული ანგარიშში, გაწეული იყო სხვა პროექტისთვის გამოყოფილი ასიგნებების ხარჯზე, ხოლო ნებართვა ასეთი სახის ქმედების განხორციელებაზე, აპარატის მხრიდან, რომელსაც ეკისრებოდა კონტროლი თანხების მიზნობრივად გამოყენებაზე, ვერ იქნა წარმოდგენილი.
8. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში წარმოდგენილ იქნა პროექტის განმახორციელებელი ა(ა)იპ-„მშვიდობისა და რეინტეგრაციის რეგიონალური ქსელის“ საბანკო ანგარიშის ამონაწერი, რომლის მიხედვით აპარატის მიერ პროექტის განსახორციელებლად ჩარიცხული თანხებიდან 49 441 ლარიდან არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ ხელზე გატანილმა თანხამ 15 052 ლარი შეადგინა, რაზედაც სალაროს ოპერაციების ამსახველი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი.
9. 2012 წელს სახელმწიფო მინისტრზე მივლინების საავანსო თანხები გაიცემოდა ნორმის ზევით, რომელმაც სულ 73 837 ლარი შეადგინა.

10. სახელმწიფო მინისტრის 2012 წლის 18 იანვრის N2-მ ბრძანებით სახელმწიფო მინისტრი 24 იანვრიდან 7 თებერვლის ჩათვლით მივლინებულ იქნა ეთიოპიასა და აშშ-ში. მივლინების ბრძანებაში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ, 2 დღით გაიზარდა მივლინების პერიოდი აშშ-ში, თუმცა რწმუნება აუდიტის ჯგუფის მიერ აღნიშნული ცვლილებების განხორციელების საჭიროებაზე ვერ იქნა მიღებული. ბილეთის გადაცვლა განხორციელდა 4-ჯერ, რამაც 4 938 ლარით გაზარდა მისი პირვანდელი ღირებულება.
11. 2013 წლის 18 მარტის მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად ავტოსატრანსპორტო საშუალება TOYOTA Land Cruiser 200-ის გარბენი აღნიშნული პერიოდისთვის შეადგენდა 31 708 კმ-ს, მაშინ როცა ავტომობილი შეძენილი იყო 2011 წლის ბოლოს და შეძენიდან 2013 წლის თებერვლისთვის ჩათვლით გახარჯული იყო 14 650 ლიტრი საწვავი. შესაბამისად საწვავის რაოდენობიდან გამომდინარე საპასპორტო მონაცემების მაქსიმალური წვის გათვალისწინებით (19 ლიტრი 100 კმ-ზე, ქალაქის პირობებში) აღნიშნული პერიოდისთვის ავტომობილს გავლილი უნდა ჰქონოდა არანაკლებ 77 105 კმ, ნაცვლად 31 708 კმ-ისა, ანუ 45 400 კმ-ით მეტი.

აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ 2012, 2013, 2014 წლების განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებთან შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოებების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აპარატის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშესაბამოებები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების

საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ აპარატის 2013-2014 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებით შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობაა აუდიტი დაგეგმოს და ჩატაროს იმდაგვარად, რომ მიიღოს საკმარისი და შესაფერისი რწმუნება დასკვნის შესადგენად. აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

შესაბამისობასთან დაკავშირებით გამოვლენილი გარემოებები

1. არაფინანსური აქტივების მართვა

1.1 ინვენტარიზაცია

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით აპარატის ხელმძღვანელობას უნდა ჩატარებინა ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია 2014 წელს, ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე, რითაც „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული წესი.

1.2 აქტივების დაცულობაზე კონტროლი

2014 წელს არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვისთვის არ იყო გახსნილი საინვენტარიზაციო ბარათები თითოეული საინვენტარიზაციო ნომრისა და მატერიალური პირის მიხედვით. ასევე, არ იყო გაფორმებული ხელშეკრულებები სრულ

პასუხისმგებლობაზე აპარატის თანამშრომლებთან, მათზე მინდობილი ორგანიზაციის მატერიალურ ფასეულობის შენახვისა და დაცულობის მიზნით¹.

1.3 უძრავი ქონების რეგისტრაცია

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2014 წლის 12 თებერვლის N01-ს ბრძანებით, აპარატს დროებით სარგებლობაში (2015 წლის 11 თებერვლამდე) გადაეცა ლეონიძის ქ. N3-სა და ლეონიძის ქ. N5-ში მდებარე შენობების საერთო ფართიდან 1100 კვ.მ სადაც განთავსებულია აპარატი მითითებული თარიღიდან. 2014 წლის ბალანსის შედგენის თარიღისთვის აღნიშნული ფართი არ იყო შეფასებული და საბალანსო მუხლში - „შენობა-ნაგებობები“ ირიცხებოდა ადრე კუთვნილებაში არსებული ფართის საბალანსო ღირებულებით².

2. ბიუჯეტის დაგეგმვა და ასიგნებათა გადანაწილება

„2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საწყისი რედაქციით აპარატს (22 00) დაუმტკიცებული აქვს წლიური ჯამური ასიგნება 1350.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც შეესაბამებოდა საბოლოო კორექტირებულ საბიუჯეტო განაცხადით განსაზღვრულ მაჩვენებლებს და ზღვრული მოცულობის ფარგლებში იყო მოთხოვნილი.

2012 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა გეგმების დაზუსტებას, როგორც ასიგნებათა გადანაწილების, ასევე მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფით და შემცირებით, „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში“ ცვლილებების შეტანით.

2012 წელს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით ადგილი ჰქონდა აპარატისთვის დამატებითი ასიგნების გამოყოფას მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 182.0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც გადაცემულია 2 არასამთავრობო ორგანიზაციისთვის საქართველოში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების მიზნით.

აპარატის 2012, 2013 და 2014 წლებში დამტკიცებული გეგმა, დაზუსტებული გეგმა და საკასო ხარჯი მოცემულია ცხრილებში:

ცხრილი N1

პროგრამული კოდი	დასახელება	2012 წლის გეგმა		
		დამტკიცებული	მათ შორის	
			დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო ხარჯი
22 00	რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,280.00	1,460.1	1,460.5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	30	30	23
	ხარჯები	1,249.50	1,452.6	1,448.3
	შრომის ანაზღაურება	695.9	720.88	720.9

¹ „აგტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების მე-18 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტები.

² „აგტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების მე-9 მუხლის მე-10 პუნქტი.

	არაფინანსური აქტივების ზრდა	30.5	7.5	7.2
--	-----------------------------	------	-----	-----

ცხრილი N2

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა		
		2013 წლის გეგმა	მათ შორის	
			დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო ხარჯი
22 00	რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,350.00	1350.0	1283.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	30	30	25
	ხარჯები	1,296.60	1296.6	1242.8
	შრომის ანაზღაურება	695.9	735.9	735.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	53.4	53.4	40.4

ცხრილი N3

პროგრამული კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა		
		2014 წლის გეგმა	მათ შორის	
			დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო ხარჯი
22 00	რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,350.00	1350	1297.5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	30	0	25
	ხარჯები	1,312.00	1324	1276.9
	შრომის ანაზღაურება	756	745.1	715.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	38	26	20.6

3. შრომის ანაზღაურება

აპარატში 2012, 2013 და 2014 წლებში, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულმა მთლიანმა საკასო ხარჯებმა შესაბამისად, 720.9 ათასი ლარი, 735.9 ათასი ლარი და 715.8 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო დასაქმებულთა რიცხოვნობამ 2012 წელს 23 ერთეული, ხოლო 2013, 2014 წლებში 25 ერთეული. აღნიშნულ წლებში თანამდებობრივი სარგოს სახით საკასო ხარჯმა სულ ჯამში 2 172.6 ათასი ლარი შეადგინა, პრემიის სახით გაცემულმა განაცემმა 1346.5 ათასი ლარი, ხოლო დანამატის სახით გაცემულმა განაცემმა 674.6 ათასი ლარი.

2012 წელს შტატით მომუშავე თანამშრომლების ნაწილზე პრემიები გაიცემოდა ყოველთვიურად, სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით და გაცემული პრემიების რაოდენობამ, თანამდებობრივი სარგოს 65% შეადგინა. 2012 წელს გაცემული პრემიებიდან თანამდებობრივი სარგოს ტოლი და მეტი ოდენობის პრემია მიღებული აქვს აპარატის მენეჯმენტის 8 თანამშრომელს, რომელთაგან პრემიის მაქსიმალურმა განაცემმა თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებაში 150% შეადგინა.

2013 წელს აპარატის თანამშრომლებზე გაცემული პრემიების სიდიდემ თანამდებობრივი სარგოს 50% შეადგინა. გაცემული განაცემებიდან თანამდებობრივი სარგოს აღნიშნულ სიდიდეზე მეტი რაოდენობის პრემია (51-100%-მდე) აღებული აქვთ მხოლოდ აპარატის მენეჯმენტის წარმომადგენლებს, ხოლო 50%-ზე ნაკლები სხვა დანარჩენ პერსონალს.

2014 წელს აპარატის თანამშრომლებზე გაცემული პრემიების რაოდენობამ თანამდებობრივი სარგოს 36% შეადგინა, ხოლო სახელფასო დანამატის სახით გაცემულმა განაცემმა 24%, რაც ჯამში თანამდებობრივი სარგოს 60%-ს შეადგენს. ისევე, როგორც წინა წელს, თანამდებობრივი სარგოს აღნიშნული სიდიდის ტოლი და მეტი განაცემი მიღებული აქვს აპარატის მენეჯმენტის წარმომადგენლებს.

2012 წელს პრემიები გაიცემოდა სახელმწიფო მინისტრის ბრძანებების საფუძველზე, რომელშიც არ იყო მითითებული თანხების ოდენობა და იმ პირთა სია ვისაც უნდა დარიცხოდა პრემია. პასუხისმგებელ პირთა განმარტებით, სახელმწიფო მინისტრის მიერ დასარიცხი პრემიების სიდიდე განისაზღვრებოდა ზეპირსიტყვიერად, ხოლო დარიცხვის უწყისებს ხელს აწერდა მხოლოდ ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი. პრემიების გაცემის წყაროდ მითითებული იყო „შრომის ანაზღაურების ხარჯებისთვის დამტკიცებული ასიგნება“.

2012-2013 წლებში, აპარატის ასიგნებებიდან, სახელმწიფო მინისტრებზე, საკუთარი ბრძანებების საფუძველზე, პრემიის სახით დარიცხულია და გაცემულია სულ 49.1 ათასი ლარი.

აუდიტის ჯგუფის მიერ 2014 წლის პირველ და მეორე კვარტალში „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული დანახარჯები შედარებული იქნა ამავე წლის მესამე და მეოთხე კვარტალში გაწეულ ანალოგიურ დანახარჯებთან. ორ-ორი კვარტალის დანახარჯების შედარების საფუძველს წარმოადგენდა „საჯარო დაწესებულებაში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილება, რომელიც ძალაშია 2014 წლის 1 ივლისიდან. დადგინდა, რომ რეგულაციის ამოქმედების შემდეგ, პრემიების სახით გაწეული დანახარჯები შემცირდა 75 645 ლარით (58%-ით), თუმცა თითქმის იგივე ოდენობით, ანუ 75 687 ლარით (465%) გაიზარდა დანამატების ოდენობა. ამდენად, რეგულაციის შემოღებას ეფექტი რეგულაციის შემოღებას ეფექტი არ მოუხდენია და ერთი სახის განაცემი ჩანაცვლდა მოერე სახის განაცემით. კერძოდ:

დადგენილების ამოქმედებისთანავე, სახელმწიფო მინისტრის 2014 წლის 1 ივლისის N9 ბრძანებით აპარატის 13 თანამშრომელს დაენიშნა დანამატი საერთო თანხით 15 375 ლარი. აღსანიშნავია, რომ თითოეულ თანამშრომელზე დანამატის სახით ყოველთვიურად გასაცემი თანხა ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის წინასწარ იყო განსაზღვრული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თანამშრომელთა გარკვეული წრისთვის 2014 წლის პირველი ივლისის მდგომარეობით მოხდა მომავალში შესასრულებელი ზეგანაკვეთური და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის წინასწარი გაანგარიშება, რომელიც ფაქტიურად ყოველთვიურად თანხვედრაში იყო მათ მიერ გაწეულ ზეგანაკვეთურ შრომასთან. აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა მოწოდებული ვერანაირი დამატებითი დოკუმენტი, რაც თვალსაჩინოვს გახდოდა აპარატის იმ თანამშრომლებზე დამატებითი საპასუხისმგებლო ფუნქციების დაკისრებას და მათ ჯეროვნად შესრულებას, რაც გაამართლებდა 2014 წლის 1 ივლისის შემდეგ 465%-ით გაზრდილი დანამატების გაცემის საჭიროებას და აუცილებლობას.

ცხრილი N4

დასახელება	2014 წლის I-II კვარტალი	2014 წლის III- IV კვარტალი	სხვაობა	%
თანამდებობრივი სარგო	229935	216146	-13789	94%

პრემია	130100	54455	-75645	42%
დანამატი	16260	91947	75687	565%
სულ	376295	362548	-13747	96%
ჯამში პრემია და დანამატი	146360	146402	42	100%
პრემიისა და დანამატის ხვ.წილი მთლიან ხარჯთან მიმართებაში	39%	40%	1%	104%
პრემიისა და დანამატის ხვ. წილი თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებაში.	64%	68%	4%	106%

4. მთავრობის სარეზერვო ფონდები

აპარატის ხელმძღვანელობა, წერილობითი³ მიმართვების საფუძველზე ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობას აყენებდა კურსში იმის თაობაზე, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები⁴ ახორციელებდა პროექტებს⁵, რომელთა ფარგლებში იგეგმებოდა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა მონაწილეობა. პროექტების წარმატებით განსახორციელებლად ითხოვდნენ, არსებული წესის დაცვით, დაფინანსების გამოყოფას, 3 შემთხვევაში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 129 716 ლარს, ხოლო 1 შემთხვევაში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 52 214 ლარს, რითაც უზრუნველყოფდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსურ მხარდაჭერას.

2012 წელს, პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, ა(ა)იპ-„მშვიდობისა და რეინტეგრაციის რეგიონალურ ქსელს“ სამი პროექტისთვის („ნაბიჯი მშვიდობისაკენ“, „ჯანდაცვის სისტემის პოპულარიზაცია“, „კულტურული დიალოგი“)- გამოეყო 129 716 ლარი და ა(ა)იპ-„პედაგოგთა კავშირ „განათლება და სამყარო“ ერთი პროექტის („პედაგოგი-მშვიდობის რესურსი“) განსახორციელებლად გამოეყო 52 214 ლარი, მთლიანობაში სარეზერვო ფონდებიდან აპარატს 181 930 ლარი გამოეყო.

აპარატში არსებული პირველადი დოკუმენტების მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის ნებართვის მოსაპოვებელი სანოტიფიკაციო ფორმა N3 შემოტანილი იქნა მხოლოდ პრემიერ-მინისტრის ბრძანების გამოცემის შემდეგ. ფორმა შეიცავდა პროექტის აღწერილობას და სავალდებულო იყო შესავსებად ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქმიანობის განსახორციელებლად. კერძოდ:

„აპარატში, ა(ა)იპ-„მშვიდობისა და რეინტეგრაციის რეგიონალური ქსელის“ მიერ პროექტი „ნაბიჯი მშვიდობისაკენ“ სანოტიფიკაციო ფორმა N3 განსახილველად შემოტანილია 2012 წლის 22 თებერვალს, ფინანსთა მინისტრისადმი აპარატის ხელმძღვანელობის წერილობითი მიმართვიდან და პრემიერ-მინისტრის ბრძანების გამოცემიდან მეორე დღეს.

³ სახელმწიფო მინისტრის 2012 წლის 28 მარტის N4-5/202 და 2012 წლის 05 ივლისის N4-5/421 და სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის 2012 წლის 21 თებერვლის N4-5/97 და 2012 წლის 5 მარტის N4-5/142.

⁴ ა(ა)იპ-„მშვიდობისა და რეინტეგრაციის რეგიონალური ქსელი“ და ა(ა)იპ-„პედაგოგთა კავშირ „განათლება და სამყარო“.

⁵ „ნაბიჯი მშვიდობისაკენ“, „ჯანდაცვის სისტემის პოპულარიზაცია“, „კულტურული დიალოგი“ და „პედაგოგი-მშვიდობის რესურსი“.

ზნალოგურად, ა(ა)იპ-პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყაროს“ მიერ „პედაგოგი მშვიდობის რესურსი“ პროექტი განსახილველად შემოტანილია 2012 წლის 20 მარტს, ხოლო აპარატის ხელმძღვანელობის მიმართვა და პრემიერ-მინისტრის ბრძანება დაფინანსების გამოყოფაზე, გამოცემულია შესაბამისად 15 და 5 დღით ადრე.

ასევე, პროექტი „კულტურული დიალოგი“ ა(ა)იპ-„მშვიდობისა და რეინტეგრაციის რეგიონალური ქსელის“ მიერ შემოტანილია განსახილველად 2012 წლის 13 ივლისს, ფანანსთა სამინისტროში აპარატის ხელმძღვანელობის მიერ თანხის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფის შესახებ წერილობითი მიმართვის გაგზავნიდან 8 დღის შემდგომ, ხოლო პრემიერ-მინისტრის ბრძანება აღნიშნული პროექტის დაფინანსებაზე, გამოცემულია პროექტის განსახილველად შემოტანამდე ერთი დღით ადრე, იმავე წლის 12 ივნისს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აპარატის მიერ პროექტების განხილვა ატარებდა ფორმალურ ხასიათს.

არასამთავრობო ორგანიზაციებიდან აპარატში შემოსული მიმართვები თანხის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის თაობაზე, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ბრძანებები „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის განხორციელებისათვის ნებართვის გაცემის შესახებ“ და თავად თანხის გადარიცხვა ოთხივე პროექტის შემთხვევაში, წარმოებულია ერთ დღეში.

აპარატის ხელმძღვანელობამ, არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერის ინიცირების შემდგომ, თანხები ყოველგვარი გარანტიის გარეშე, ავანსის სახით, ერთიანად გადარიცხა არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებზე.

პროექტის შესრულების დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ოთხივე პროექტში გამოიკვეთა მსგავსი შინაარსის დარღვევები, კერძოდ:

“არცერთ საანოტიფიკაციო ფორმაში არ იყო მითითებული ინფორმაცია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გამგზავრების მოსალოდნელი გრაფიკი (სანოტიფიკაციო ფორმის ერთ-ერთი სავალდებულოდ შესავსები პუნქტი);

“პროექტის მონაწილე პირთა (ბენეფიციარები) შერჩევის პროცესის არასაკმარისი გამჭვირვალობა;

“მიუხედავად იმისა, რომ პროექტში სავალდებულო იყო ეთნიკურად აფხაზი მოსახლეობის მონაწილეობა, უმეტეს შემთხვევაში ბენეფიციარებად წარმოდგენილი იყო საქართველოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირები, გალის რაიონში მცხოვრები მოსახლეობა, ზოგჯერ კი გაურკვეველი პიროვნებებიც კი (რომელთა პირადობები ვერ იქნა წარმოდგენილი).

“ნარატიული ანგარიშები არ მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას განხორციელებული აქტივობების შესახებ, ზოგჯერ კი შეიცავს არასწორ ინფორმაციას;

“პირველადი დოკუმენტები არ იყო შედგენილი სრულყოფილად, ნაწილი ხარჯებისა მიკუთვნებული იყო სხვა პროგრამას, ხოლო ნაწილი ხარჯებისა გაწეული იყო პროგრამების დასრულების შემდგომ.

⁶ ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის ნებართვის მოსაპოვებლად წარსადგენი ფორმა N3

4.1 პროექტი - „ნაბიჯი მშვიდობისაკენ“

პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის N215 ბრძანებით, აპარატს გამოეყო 45.9 ათასი ლარი ა(ა)იპ-„მშვიდობისა და რეინტეგრაციის რეგიონალური ქსელის“ (შემდგომში- არასამთავრობო ორგანიზაცია) მიერ საქართველოში განსახორციელებელი პროექტის „ნაბიჯი მშვიდობისაკენ“ დასაფინანსებლად.

არასამთავრობო ორგანიზაციას დაფინანსება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ჰქონდა 2011 წელსაც, ანალოგიური დასახელებისა და შინაარსის პროექტისთვის. პრემიერ-მინისტრის ბრძანებაში, რომელიც წინ უსწრებდა სანოტიფიკაციო ფორმის აპარატში შემოტანას, პროექტი მოიხსენიებოდა სახელწოდებით „ნაბიჯი მშვიდობისაკენ“, ხოლო სანოტიფიკაციო ფორმა N3-ით შემოტანილი იყო პროექტი დასახელებით „მომავალი“, თუმცა ხელშეკრულება გაფორმდა როგორც „ნაბიჯი მშვიდობისაკენ“, ანუ იმ დასახელებით, რა დასახელებითაც ჰქონდათ მიღებული დაფინანსება 2011 წელს. აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ იქნა მოპოვებული საკმარისი რწმუნება იმისა, თუ როგორ მოხდა არასამთავრობო ორგანიზაციის შერჩევა.

სანოტიფიკაციო ფორმა N3-ის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვისა და ინფორმაციული ნაწილის მიხედვით, იგი უნდა განხორციელებულიყო ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე იგეგმებოდა ქართველი და ეთნიკურად აფხაზი დედების ერთობლივი ვიზიტი ბაკურიანში. მეორე ეტაპზე იგეგმებოდა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებადი „აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან“ სტუდენტების ჩამოყვანა სასწავლო ვიზიტით თბილისში. პროექტის სამუშაო გეგმის მიხედვით ის უნდა დაწყებულიყო 25 თებერვალს და დასრულებულიყო 30 მაისს. სავარაუდო ხარჯთაღრიცხვით პირველი ეტაპის ბიუჯეტი 34 960 ლარს შეადგენდა, მეორე ეტაპის 10 915 ლარს, ხოლო ჯამური ბიუჯეტი 45 875 ლარს.

ნარატიული ანგარიშის მიხედვით პროექტის პირველი ეტაპი დაიწყო ხელშეკრულების გაფორმების დღესვე 2012 წლის 24 თებერვალს, მონაწილეთა ზუგდიდში გადმოსვლით და დასრულდა 4 მარტს.

წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტების აუდიტის შედეგად ვერ იქნა მოპოვებული საკმარისი და შესაფერისი რწმუნება პროექტისთვის გამოყოფილი 25 645 ლარის მიზნობრივ გამოყენებაზე. კერძოდ:

აუდიტის პერიოდში მოთხოვნილ იქნა პროექტის მონაწილე ეთნიკური წარმომავლობის დამადასტურებელი საბუთები, აფხაზი და ქართველი მონაწილეების სია და მათი შერჩევის კრიტერიუმები. აპარატის მიერ მოწოდებულ იქნა ბენეფიციართა სია, რომელიც შედარებულ იქნა პირველად დოკუმენტებში წარმოდგენილ სასტუმრო „ანაკლიას“ 2012 წლის 25 თებერვლის ელექტრონულ ინვოისთან. დოკუმენტის მიხედვით ამ რიცხვში 10 პიროვნება იყო ჩასახლებული, რომელთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთა მონაწილეობა პროექტში რაიმე სახით არ დასტურდება. ასევე არ დასტურდება აფხაზური მხარის ერთ-ერთი ბენეფიციარის ცხოვრება სასტუმროში. გარდა ამისა, ვერ იქნა წარმოდგენილი ბენეფიციართა როგორც ეთნიკური წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე ქართული მხარის ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები და მათი მონაწილეობა პროექტში. კოორდინატორთა განმარტებით, ქართული მხრიდან მონაწილეობას იღებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რაც ეწინააღმდეგება პროექტის შინაარსს.

პროექტის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვით, ხელფასები განსაზღვრული იყო 4 პიროვნებაზე, ჯამში 2 000 ლარის ოდენობით. ფაქტობრივად დასაქმდა 5 ადამიანი და მათზე გაცემულმა ხელფასებმა შეადგინა 3 420 ლარი, რაც 71% აღემატებოდა ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულს. დასასაქმებელთა როგორც რაოდენობის, ასევე სახელფასო განაკვეთების გაზრდა არ იყო შეთანხმებული აპარატის ხელმძღვანელობასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარეს, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა ტიპის მომსახურებაზე (თხილამურების ინსტრუქტორი, ცხენებზე გასეირნება, ზურანი, ციგებისა და ციგურების ქირაობა) ფიზიკურ პირებთან. ხელშეკრულებების თანახმად, შემსრულებლებისათვის ნაღდი ანგარიშსწორებით ხელზე გასაცემი თანხა (ჰონორარი) დაფიქსირებულია უწყისში მათზე დარიცხული თანხის ოდენობით. რაც შეეხება უწყისში თანხის მიმღებთა ხელმოწერებს, ისინი არ შესაბამება წარმოდგენილი პირადობის მოწმობის ქსერო ასლებში დაფიქსირებულს. სხვადასხვა მომსახურებისთვის დარიცხულმა თანხამ სულ 5 450 ლარი შეადგინა. აუდიტის ჯგუფის მიერ განხორციელდა, თხილამურის 9 ინსტრუქტორისთვის ექვსდღიანი მომსახურებისთვის დარიცხული თანხების საბაზრო ფასებთან შედარება. ასე მაგალითად: უწყისის მიხედვით მათზე დარიცხულ იქნა სულ 4 150 ლარი, ანუ საშუალოდ დღეში ცხრავე ინსტრუქტორზე - 692 ლარი, ხოლო თითოეულზე საშუალოდ 69 ლარი. საბაზრო ფასის საშუალო ღირებულებიდან გამომდინარე (1 სთ-10 ლარი), ინსტრუქტორების ნამუშევარმა დრომ დღე-ღამეში საშუალოდ 7.7 საათი შეადგინა. გამოდის, რომ თითოეული მონაწილე, ექვსი დღის განმავლობაში, დღეში თითქმის 8 საათს ატარებდა ინსტრუქტორთან, რაც არარეალურია.

არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარეს 2012 წლის 25 მარტს გაფორმებული აქვს „შრომითი ხელშეკრულება“ (ნაცვლად მომსახურებაზე ხელშეკრულებისა), შპს „ტრანსლიდერთან“ (ს/კ 4265.17637), სატრანსპორტო მომსახურებაზე, თანხით 2 600 ლარი, ხოლო მათ ტრანსპორტირებაზე ინვოისი, აღნიშნული ორგანიზაციის მიერ, გამოწერილია იმავე წლის 15 თებერვალს, მომსახურების გაწევამდე 10 დღით ადრე. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია იმავე წლის 15 აპრილს, საბანკო ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული ორგანიზაციასთან ანგარიშსწორება წარმოებულია (გადარიცხულია 2 600 ლარი) 2012 წლის 5 მარტს, ხელშეკრულების გაფორმებამდე 20 დღით ადრე. მომსახურების გაწევის თარიღი წინ უსწრებს პროექტის დაწყების თარიღს, ასევე შეუსაბამოა ხელშეკრულების გაფორმებისა და მიღება-ჩაბარების თარიღები პროექტის მიმდინარეობის პერიოდთან. აღნიშნულთან დაკავშირებით ვერ იქნა მიღებული საკმარისი რწმუნება, თუ რომელი მომსახურებისთვის იქნა ანაზღაურებული თანხა.

ზასტუმროს მომსახურებაზე ხელშეკრულება გაფორმებულია 2012 წლის 25 მარტს. ელექტრონული ინვოისის თანახმად, 26 თებერვლიდან 4 მარტის ჩათვლით (7 დღე-ღამე) 25 პიროვნების სასტუმროში განთავსების ღირებულებამ 16 625 ლარი შეადგინა. ხელშეკრულებაში არ არის ასახული მომსახურების პირობები, ხოლო ელექტრონულ ინვოისში დაკავებული ნომრების რაოდენობა და ჩასახლებულ პირთა ვინაობა. წარმოდგენილი დოკუმენტი არ იძლევა საკმარის რწმუნებას იმის თაობაზე, რომ სასტუმროს ხარჯები გაწეულ იქნა პროექტის მონაწილე ბენეფიციართა განთავსებისთვის.

4.2 პროექტი - „ნაზიჯი მშვიდობისაკენ“ მეორე ეტაპი

პროექტის „ნაზიჯი მშვიდობისაკენ“ მეორე ეტაპი ორგანიზატორთა განმარტებით, შედგა 2012 წლის 4-13 მაისს. ანგარიშის თანახმად ბენეფიციარები, რომელთა ზუსტი რაოდენობა ვერ იქნა დადგენილი, ნაცვლად პროექტით განსაზღვრული 8 დღისა, 10 დღე იმყოფებოდნენ თბილისსა და ბათუმში (პროექტით განსაზღვრული ვადის შეცვლის შეთანხმება და მიზეზი ვერ იქნა წარმოდგენილი). ფაქტობრივი ხარჯთანუსხით პროექტის ხარჯებმა 10 915 ლარი შეადგინა, ნაწილი ხარჯებისა, რომლებიც არ იყო ასახული ანგარიშში, გაწეულ იყო სხვა პროექტისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან, ხოლო ნებართვა ასეთი ქმედების განხორციელებაზე, მხარჯავი დაწესებულების (აპარატი) მხრიდან, რომელსაც ეკისრებოდა კონტროლი თანხების მიზნობრივად გამოყენებაზე, ვერ იქნა წარმოდგენილი, ხოლო რიგ შემთხვევებში, წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტები და ანგარიშები არ არის ერთმანეთთან შესაბამისობაში, რაც საეჭვოს ხდის პროექტისთვის გამოყოფილი თანხების მიზნობრივ გამოყენებას. ასე მაგალითად:

პროექტის სავარაუდო ხარჯთანუსხის მიხედვით, სატრანსპორტო ხარჯებს უნდა შეედგინა 2 400 ლარი, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, სატრანსპორტო ხარჯმა 1 100 ლარი შეადგინა, საიდანაც პირველადი დოკუმენტი წარმოდგენილი იყო მხოლოდ 600 ლარზე, ხოლო ანგარიშის მიხედვით, მონაწილეთა აფხაზეთის ტერიტორიაზე ტრანსპორტირებისთვის გაწეული 500 ლარის ხარჯის გაწევის დოკუმენტი არ იყო წარმოდგენილი. პროექტის ორგანიზატორთა სიტყვიერი განმარტებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე ბენეფიციართა ტრანსპორტირებისთვის თანხის ანაზღაურების საბუთის შექმნა მათ ვერ შესძლეს.

წარმოდგენილი შპს „სასტუმრო ინტერნეტ პალასის“ (ბათუმი) 2012 წლის 18 მაისის ანგარიშგაქტურის მიხედვით არასამთავრობო ორგანიზაციისთვის გაწეულმა სასტუმრო მომსახურებამ 3 065 ლარი შეადგინა. აღნიშნულ დოკუმენტთან წარმოდგენილი იყო სასტუმროს 2 ელექტრონული ინვოისი, რომელთაგან ერთი გამოწერილი იყო საქართველოს პარლამეტის სახელზე, ხოლო მეორე არასამთავრობო ორგანიზაციის სახელზე, თუმცა სხვა მონაცემები იყო იდენტური, კერძოდ: ინვოისების მონაცემებით, 2012 წლის 11-13 მაისს ჩასახლებული იყო ერთი პიროვნება, რომლის პროექტთან კავშირი ვერ იქნა დადგენილი. სასტუმროს მომსახურების ღირებულებამ 2 დღე-ღამეში სულ 3 065 ლარი შეადგინა, მათ შორის სასტუმროში განთავსება - 1 617 ლარი, კვება და სასმელები - 884 ლარი, რეცხვა-97 ლარი, დღგ-467. შესაბამისად გაუგებარია, რატომ იქნა გამოყენებული აღნიშნული ინვოისი სასტუმროს ხარჯების დასადასტურებლად. რაც შეეხება მონაწილეთა ბათუმში დაბინავების ხარჯს, მისი დამადასტურებელი დოკუმენტები პროექტის ორგანიზატორთა მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, 2012 წლის 19 აპრილს გაფორმებულია ხელშეკრულება არასამთავრობო ორგანიზაციასა და ფ/პ⁷ შორის, ბინის ქირავნობაზე. ხელშეკრულების პირველი პუნქტის თანახმად, ბინა დაქირავებულ იქნა ერთი თვით, პროექტის „ნაზიჯი მშვიდობისაკენ“ მონაწილეთა დასაბინავებლად, ღირებულებით - 2 500 ლარი (მათ შორის საშემოსავლო 500 ლარი), ხოლო ხარჯი მიკუთვნებული იყო პროექტ „ჯანდაცვის სისტემის პოპულარიზაცია“. ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ანგარიშის

⁷ ფიზიკური პირი მიხეილ ალხაზიშვილი

თანახმად, ბინის დაქირავებისთვის ანაზღაურდა 2 700 ლარი, ნაცვლად 2 500 ლარისა. პირველად დოკუმენტებში არ არის წარმოდგენილი ფიზიკური პირის პირადობის მოწმობა, მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით არ ირკვევა ანაზღაურებული თანხის რაოდენობა და არც სხვა სახის დოკუმენტია შექმნილი თანხის გადაცემაზე. საბანკო ამონაწერის მიხედვით გადახდილია ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადი 540 ლარის ოდენობით (2 700 ლარის შესაბამისი). ასევე, ვერ იქნა განმარტებული, თუ რატომ იქნა ანაზღაურებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე 200 ლარით მეტი თანხა. მნიშვნელოვანია, რომ თანხა გამოყენებულია სხვა პროექტისთვის განკუთვნილი ასიგნებიდან, აპარატთან შეუთანხმებლად, პროექტის ბიუჯეტში განხორციელებული ყოველგვარი ცვლილებისა და ნებართვის გარეშე. მაშინ, როდესაც თავად პროექტ „ნაბიჯი მშვიდობისაკენ“ სასტუმროს ხარჯებში ჩათვლილი იყო 3 064 ლარის დაუსაბუთებელი სასტუმროს ხარჯი.

ხელშეკრულების ფაქტობრივი შესრულების ანალიზით გამოვლინდა რიგი შეუსაბამობებისა, კერძოდ:

• მეორე ეტაპის ორგანიზატორების ხელფასებს, სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, სულ 600 ლარი უნდა შეედგინა. წარმოდგენილი ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვით დარიცხულმა ხელფასებმა სულ 2 900 ლარი, რაც დაგეგმილზე 2 300 ლარით მეტია. დარიცხვის უწყისის თანახმად, თანხა დარიცხულია 3 ტრენერზე (1 400 ლარი), 2 ასისტენტზე (800 ლარი), ერთ ფინანსურ მენეჯერზე (400 ლარი) და ერთ კოორდინატორზე (300). აღსანიშნავია, რომ პირველი ეტაპის ხელფასებიდან განსხვავებით თანხა გაცემულია ნაღდი ანგარიშსწორებით, რაც რისკის მატარებელია. ასევე, დარიცხულია პროექტის 4 ბენეფიციარებზე 10 დღის დღიური განაცემი სულ 1 200 ლარის ოდენობით, რაც ასევე აღემატება გეგმით გათვალისწინებულს 25%-ით. ერთ ბენეფიციარზე, რომელიც წარმოდგენილი სიის თანახმად მონაწილეობდა პროექტში, დღიური თანხა არ დარიცხულა, გარდა ამისა, დარიცხვის უწყისების მიხედვით, პროექტის ერთი მონაწილე მოიხსენიება როგორც ბენეფიციარი, ასევე პროექტის ასისტენტი და მასზე დარიცხულია როგორც ასისტენტის ხელფასი, ისე ბენეფიციარის დღიური თანხა.

• მეორე ეტაპის გეგმიური ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, კვებით ხარჯს უნდა შეედგინა 2800 ლარი. წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, კვების ხარჯი შეადგენდა 2 030 ლარს. აპარატში არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით დადგინდა, რომ ნაწილი კვების ხარჯებისა მიკუთვნებული იყო პროექტზე „ჯანდაცვის სისტემის პოპულარიზაცია“. პროექტის მიმდინარეობის პერიოდის მიხედვით, ფაქტობრივად წარმოდგენილი ხარჯები მიკუთვნებულ იქნა შესაბამის პროექტს. აღნიშნულის შედეგად კვების ფაქტობრივმა ხარჯმა სულ 5 685 ლარი შეადგინა, საიდანაც 216 ლარი შეადგენდა მხოლოდ ჩეკებით (პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გარეშე) გაწეულ ხარჯს, ხოლო 781 ლარზე არ იყო წარმოდგენილი გადახდის დამადასტურებელი საბუთი (საგადასახადო ჩეკი, იყო მხოლოდ პირველადი საგადასახადო დოკუმენტი), რაც წარმოადგენს დაუსაბუთებელ ხარჯს.

4.3 პროექტი- „ჯანდაცვის სისტემის პოპულარიზაცია“

პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 3 აპრილის N473 ბრძანებით, აპარატს გამოეყო 34 400 ლარი, ა(ა)იპ-„მშვიდობისა და რეინტეგრაციის რეგიონალური ქსელის“ მიერ საქართველოში განსახორციელებელი პროექტის „ჯანდაცვის სისტემის პოპულარიზაცია“ დასაფინანსებლად.

თანხა ორგანიზაციას ჩაერიცხა იმავე წლის 19 აპრილს და ანგარიშის მიხედვით გაიხარჯა სრულად.

პროექტის ფარგლებში იგეგმებოდა 17-მდე აფხაზი ეროვნების ექიმის ჩამოყვანა და შეხვედრები ქართულ ექიმებთან. საქართველოში არსებული ჯანდაცვის სისტემის გაცნობა და შემეცნებითი ვიზიტი თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და კახეთში. პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად, აღწერილობისამებრ, მთავარ პირობას წარმოადგენდა აფხაზი ეროვნების მედიცინის წარმომადგენლების მონაწილეობა ზემოთხსენებულ აქტივობებში.

არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ აპარატისთვის ჩაბარებულ ანგარიშში წარმოდგენილი იყო იდენტიფიცირების დამადასტურებელი 7 სხვადასხვა დოკუმენტის ასლი, ბენეფიციართა პირადი მონაცემების შემცველი დოკუმენტები.

ცხრილი N6			
N	დოკუმენტის სახე	მოწმობის გამცემი	ეროვნება
1	პირადობის მოწმობა	საქართველო	ქართველი
2	პირადობის მოწმობა	საქართველო	დაუდგენელი
3	პირადობის მოწმობა	საქართველო	ოსი
4	სსრკ პასპორტი	საბჭოთა კავშირი	ქართველი
5	დაბადების მოწმობა	აფხაზეთის ა/რესპუბლიკა	ქართველი
6	მოწმობა	ეწ. აფხაზეთის რესპუბლიკა ჯანდაცვის სამინისტრო	დაუდგენელი
	პირადობის მოწმობა	ეწ. აფხაზეთის რესპუბლიკა	აფხაზი

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, 3 ბენეფიციარს ჰქონდა საქართველოს მოქალაქის მოწმობა და შესაბამისად ინტეგრირებული იყო ქართულ საზოგადოებასთან. სსრკ პასპორტის მფლობელი და დაბადების მოწმობის წარმდგენი ბენეფიციარები იყვნენ ეროვნებით ქართველები. ერთი პიროვნებაზე გაცემული იყო საქართველოს პირადობის მოწმობა და ე.წ. აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს მოწმობა სხვადასხვა გვარზე და მხოლოდ ერთი ბენეფიციარი იყო აფხაზი ეროვნების. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით ქართულ საზოგადოებასთან უკვე ინტეგრირებულ ბენეფიციართა პეოექტში მონაწილეობით ვერ მიიღწეოდა პროექტის მთავარი მიზანი.

აპარატსა და არასამთავრობო ორგანიზაციას შორის ხელშეკრულება გაფორმდა 2012 წლის 18 აპრილს, რომლის თანახმად პროექტი უნდა დასრულებულიყო 2012 წლის 31 მაისამდე.

2012 წლის 30 მაისს არასამთავრობო ორგანიზაციამ წერილით მიმართა აპარატს, სადაც აღნიშნავდა რომ პროექტი „ჯანდაცვის სისტემის პოპულარიზაცია“ განხორციელდა წარმატებით და მიღწეულ იქნა დასახული მიზნები. კერძოდ, პროექტის ფარგლებში ჩამოყვანილ იქნა აფხაზი ექიმები (რაოდენობა არ იყო მითითებული), პროექტის მონაწილეებმა 5 დღე გაატარეს თბილისში და აღნიშნავდნენ, რომ თანხა სრულად იყო ათვისებული. მიუხედავად ხსენებული ჩანაწერისა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ აპარატში წარდგენილი დოკუმენტი წინააღმდეგობაშია აღნიშნულ წერილთან, კერძოდ:

ნარატიული ანგარიშის მიხედვით, რომელიც არც დათარიღებულია და არც რეგისტრირებული აპარატის კანცელარიაში, პროექტი განხორციელდა 2 ეტაპად. პირველი ჩატარდა მაისის დასაწყისში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 7-მა ექიმმა, ხოლო მეორე 13-14 ივნისს და ექიმები ჩამოყვანილი იყვნენ ბათუმში კონფერენციაზე დასასწრებად. პროექტის

მეორე ეტაპის ორგანიზება არალოგიკური იყო, იმ მიზეზით, რომ პროგრამის ორ ეტაპად განხორციელების შესახებ არაფერი იყო ნახსენები პროექტში.

აუდიტით დადგინდა შემდეგი: წარმოდგენილი ელექტრონული ინვოისების მიხედვით, სასტუმროს ხარჯები გაწეულია ზუგდიდში 2012 წლის 28 აპრილსა და 2 მაისს, თბილისში 29 აპრილსა და 1 მაისს, რაც მიუთითებს პროექტის 2 მაისს დასრულებაზე. შესაბამისად, პროექტის მთლიანმა ხანგრძლივობამ 5 დღე შეადგინა (ისევე როგორც აღნიშნული იყო აპარატში გაგზავნილ პირველ წერილში). სასტუმროს ნომრის დაქირავების ელექტრონული ინვოისიდან ირკვევა, რომ სასტუმროში დაბინავებული იყო 4 პიროვნება, ნაცვლად პროექტით განსაზღვრული 17 მონაწილისა.

წარმოდგენილი სავარაუდო ხარჯთანუსხის მიხედვით, პროექტის კოორდინატორთა ხელფასებს უნდა შეედგინა 2 000 ლარი, ფაქტობრივად წარმოდგენილი დარიცხვის უწყისის მიხედვით, დარიცხულმა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 3 055 ლარი. სულ დარიცხული ხელფასებიდან 2 100 ლარი გადაირიცხა საბანკო ანგარიშიდან, ხოლო 955 ლარი გაცემული იქნა ნაღდი ანგარიშსწორებით, რაც რისკის მატარებელია. გარდა ამისა, პროექტის 3 მონაწილეზე დარიცხულია დღიური თანხა ჯამში 315 ლარის ოდენობით, რომელთაგან ერთ-ერთი მონაწილეს ამავდროულად დარიცხული ჰქონდა პროექტის ასისტენტის ხელფასიც.

პროექტის ანგარიშის მიხედვით, გაწეულ იქნა 8 050 ლარის სატრანსპორტო ხარჯი. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციას სატრანსპორტო მომსახურებაზე გაფორმებული ჰქონდა 2 ხელშეკრულება, მათ შორის ერთი ფ/კ თანხით 1 100 ლარი, ხოლო მეორე შპს „ტრანს კომპანიასთან“ თანხით - 6 950 ლარი. ხელშეკრულებები არ არის დათარიღებული, არ არის მითითებული გადაყვანის მარშრუტი, მომსახურების ვადა და სხვა. არ არის წარმოდგენილი პირველადი საგადასახადო დოკუმენტი (ელექტრონული ინვოისი ან ანგარიშფაქტურა), მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმებულია ფორმალურად და ხელმოუწერელია. პროექტის გეგმიური ხარჯთაღრიცხვის მიხედვით სატრანსპორტო ხარჯებისთვის განსაზღვრული იყო 4 200 ლარი. ხარჯი გათვალისწინებული იყო 17 მონაწილის გადაყვანაზე. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, დასტურდება მხოლოდ 4 ბენეფიციარის მონაწილეობა პროექტში, ხოლო გაწეულმა ხარჯებმა თითქმის 2-ჯერ გადააჭარბა დაგეგმილს. ფიზიკური პირისთვის თანხის ანაზღაურების ვერანაირი დოკუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი, ხოლო კომპანიისთვის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხა გადარიცხულია 2012 წლის 16 მაისს 7 550 ლარის ოდენობით (მათ შორის პროექტ „ნაბიჯი მშვიდობისკენ“ - 600 ლარი). ტრანსპორტირების საბაზრო ფასიდან გამომდინარე, ზუგდიდი-თბილისი და თბილისი-ზუგდიდის მიმართულებით 4 ადამიანისა და დამხვედურის მგზავრობის მაქსიმალურ ღირებულებას არ უნდა გადაეჭარბებინა 600 ლარისთვის. შესაბამისად, სახეზე გვაქვს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური (6 950 ლარი) და დაუსაბუთებელი (1 100 ლარი) ხარჯი.

ფაქტობრივი ხარჯთანუსხის მიხედვით, სასტუმროს ხარჯებმა სულ შეადგინა 9 021 ლარი. შპს „აჭარა“-ის 2012 წლის 24 მაისის სასტუმროს საგადასახადო ანგარიშფაქტურისა და ელექტრონული ინვოისის მიხედვით, 29 აპრილის 2 მაისიდან ჩათვლით სასტუმრო მომსახურებამ 4 580 ლარი შეადგინა. გარდა ამისა, 28-29 აპრილისა და 3 მაისის საგადასახადო ანგარიშფაქტურისა და ელექტრონული ინვოისის ჯამური ღირებულებით 2 140 ლარი. ვერ დგინდება ჩასახლებული პიროვნებების ვინაობა და დაკავებული ოთახების რაოდენობა. რაც შესაბამისად წარმოადგენს დაუსაბუთებელ ხარჯს.

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, მონაწილეთა კვებისთვის თბილისში გაიხარჯა 7 000 ლარი, ხოლო ბათუმში 4 000 ლარი. სულ 11 000 ლარი. არასამთავრობო ორგანიზაციის

მიერ წარმოდგენილ იქნა კვების დანახარჯის 11 322 ლარის პირველადი დოკუმენტი, საიდანაც ნაწილი ხარჯებისა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მისი გაწევის თარიღის მიხედვით, მიკუთვნებულ იქნა პროექტ „ნაბიჯი მშვიდობისკენ“ მეორე ეტაპს. კვების დანახარჯებზე წარმოდგენილი ჩეკებსა და ჩეკმენიუებზე მითითებული ანაზღაურების დროის მიხედვით დადგინდა, რომ პროექტის მიმდინარეობის პერიოდში გაწეულმა ხარჯმა სულ 4 293 ლარი შეადგინა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად პროექტი უნდა დასრულებულიყო არაუგვიანეს 2012 წლის 31 მაისისა. პირველად დოკუმენტებში წარმოდგენილი იყო 2012 წლის 7-18 ივნისის პერიოდში გაწეული ხარჯები. პროექტის ორგანიზატორთა განმარტებით, ხარჯი გაწეულ იქნა 8-9 ივნისს „ქართულ ამერიკული სამეცნიერო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ასოციაციის“ მიერ მოწვეული მულტიპროფილური სამეცნიერო კონფერენციისა და 2012 წელს 14-15 ივნისს ქვეყნის პირველი ლედის მიერ მოწვეული სამედიცინო კონფერენციის „მედეა 2012“⁸ კვების ხარჯების დასაფინანსებლად. ზემოაღნიშნული ეწინააღმდეგება როგორც პროექტის, ასევე ხელშეკრულების შინაარსს. აპარატთან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის და შინაარსის შეცვლის შეთანხმება ვერ იქნა წარმოდგენილი. საგულისხმოა, რომ ხარჯები გაწეულია ივნისში, მაშინ როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციის ზემოხსენებული წერილის თანახმად, თანხები 2012 წლის 30 მაისის მდგომარეობით, ხელშეკრულების ვადის ამოწურვის თარიღისთვის, უკვე სრულად იყო ათვისებული. პროექტის დასრულების შემდგომ პერიოდში გაწეულია სულ 4 293 ლარის ხარჯი, საიდანაც კვების ხარჯმა 3 483 ლარი შეადგინა. შესაბამისად, აღნიშნული თანხა არამიზნობრივადაა გაწეული.

4.4 პროექტი - „კულტურული დიალოგი“

პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1115 ბრძანებით, პროექტ „კულტურული დიალოგის“ ფარგლებში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ერთობლივი საგანმანათლებლო-შემეცნებითი ვიზიტის ხელშეწყობის მიზნით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, აპარატს გამოეყო 49 441 ლარი, ა(ა)იპ-„მშვიდობისა და რეინტეგრაციის რეგიონალური ქსელისთვის“ გადასაცემად.

არასამთავრობო ორგანიზაციასა და აპარატს შორის ხელშეკრულება გაფორმდა 2012 წლის 16 ივლისს, რომლის საგანს წარმოადგენდა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების ვიზიტი პრაღაში (ჩეხეთის რესპუბლიკა).

აღსანიშნავია, რომ პროექტის აღწერილობასა და ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული მონაწილეთა რაოდენობა, მათ შორის რამდენი წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო აფხაზური მხრიდან და რამდენი ქართული მხრიდან.

აუდიტით გაირკვა, რომ ამ პროექტში მონაწილეობა მიიღო სულ 11-მა პირმა, რომელთაგან 5 იყო თავად პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი, ხოლო 6 პროექტის ბენეფიციარი. აქედან 2 პირი იყო ქართული მხარის წარმომადგენელი, ხოლო დანარჩენი 4 აფხაზური წარმომადგენლის.

პირველადი დოკუმენტებში წარმოდგენილი წერილით გაირკვა, რომ ASSG-„ასოციაცია საშუალო სკოლის კლუბმა“ (პარტნიორი კომპანია ჩეხეთის რესპუბლიკაში) არასამთავრობო ორგანიზაციას შესთავაზა რიგი მომსახურებებისა. მომსახურებაში

⁸ <https://www.youtube.com/watch?v=m3s2vmn-B-0>

შედიოდა: ქვეყანაში შესვლის მოსაკრებელი, ტურებსა და სასახლეებში ინგლისურენოვანი გიდების მომსახურება, ტრანსპორტირების ბილეთები (ქვეყნის შიგნით), სასტუმრო ჩეშკებუდოვიჩეში, ტური-„ტერეზინში“, ტური-„კუტნა გორაში“, რაფტინგი, საბაგირო პარკი, ბარგის შენახვის მოსაკრებელი ჩეშკებუდოვიჩეში და ჩეხი გიდის ხარჯი, რომელიც იზრუნებდა ჯგუფზე. ერთ ადამიანზე მომსახურების ღირებულება შეადგენდა 219 ევროს, ხოლო სრული ხარჯი 2 635 ევროს (საქართველოს ბანკის 2012 წლის 8 აგვისტოს კურსით 1 ევრო - 2,075 ლარი, 5 467 ლარი) 12 მონაწილეზე.

დოკუმენტებში წარმოდგენილია არასამთავრობო ორგანიზაციასა და ASSG-„ასოციაცია საშუალო სკოლის კლუბი“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგნად, ნაცელად წერილში ჩამოთვლილი მომსახურებებისა, მითითებულია სხვა სახის მომსახურებები, კერძოდ: ლოჯისტიკური, გიდის, ტრენინგების და სატრენინგო დარბაზით უზრუნველყოფაზე, იგივე ღირებულებით, რაც მითითებული იყო ზემოხსენებულ წერილში. მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მხარეებს შორის ანგარიშსწორება ნაწარმოებია ნაღდი ანგარიშსწორებით და ანაზღაურებულია 67700 K/კრონი, რაც ანგარიშის მიხედვით, შეადგენს 5 416 ლარს (კურსი 1 ლარი=0,8 კრონი).

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, პრადის ტურის ხარჯები შეადგენდა 18 553 ლარს. ანგარიშში ცალ-ცალკე არის წარმოდგენილი თითოეული მომსახურების ხარჯი, თითქმის იგივე ქრონოლოგიით, როგორც ეს ნახსენებია ზემოაღნიშნულ წერილში. ხარჯის თითოეულ სახეობაზე ანგარიშში წარმოდგენილია მათი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტი (მგზავრობის ბილეთები, მუზეუმის ბილეთები და სხვა,) რომელმაც 4 280 ლარი შეადგინა. ხარჯის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტის გარეშე, ერთიანი თანხით ნაჩვენებია მხოლოდ ASSG-თან გაფორმებული ხელშეკრულებაში აღნიშნული მომსახურებების ღირებულება 5 416 ლარის ოდენობით. ამასთან, ხელშეკრულების და მიღება-ჩაბარების აქტის გარდა, ტრენინგების ჩატარების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი.

ანგარიშისა და დარიცხვის უწყისების თანახმად, პროექტის კოორდინატორებისთვის, და ბენეფიციარებისთვის სულ დარიცხულია 9 325 ლარი, საიდანაც 4 425 ლარი წარმოადგენდა კოორდინატორებისთვის დარიცხულ ხელფასს, ხოლო 4 900 ლარი ჩეხეთში ყოფნის პერიოდში მონაწილეთათვის გაცემულ დღიურ თანხას. მთლიანობაში 8025 ლარი გაცემულია ნაღდი ანგარიშსწორებით, რაც რისკის მატარებელია და ვერ იძლევა საკმარის რწმუნებას თანხების დანიშნულებისამებრ ხარჯვაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სათანადო რწმუნება იმის თაობაზე, თუ რამიზნით იქნა გაცემული თანხები მონაწილეთათვის, მაშინ როდესაც ნაწილი იყო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი (გაცემულია მათზე ხელფასი) და პროექტის მიხედვით ყველა ხარჯის ანაზღაურება იყო უზრუნველყოფილი.

გარდა ამისა, წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად ფაქტობრივ ხარჯებში ჩათვლილი იყო ზუგდიდამდე მონაწილეთა ტრანსპორტირების (2 გზა) საფასური ღირებულებით 1 250 ლარი, რომლის დამადასტურებელი დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი. გაურკვეველია მგზავრობის საშუალება, ხოლო ხარჯებში ჩათვლილი ღირებულება, მნიშვნელოვნად აღემატება გალიდან ზუგდიდამდე და უკან, მგზავრობის რეალურ ფასს.

ანგარიშის თანახმად, საქართველოში გაწეულმა სასტუმროს ხარჯებმა⁹ სულ 1 660 ლარი შეადგინა. ვერცერთ შემთხვევაში ვერ იქნა წარმოდგენილი მომსახურების გაწევის

⁹ ი/მ „თინათინ დიდიშვილი“ და ი/მ „ლევან იშხანოვი“

დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ პერიოდისვის უკვე ამუშავებული იყო შემოსავლების სამსახურის ელექტრონული პორტალი¹⁰, რომელზედაც არ არის გამოგზავნილი მომსახურების ღირებულების ამსახველი დოკუმენტი (ანგარიშფაქტურა, ზედნადები, ელ ინვოისი), იმის გამო, რომ შეუძლებელია დანახარჯების პროექტთან დაკავშირება, იგი წარმოადგენს არამიზნობრივ ხარჯს.

აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში წარმოდგენილ იქნა ორგანიზაციის საბანკო ანგარიშის ამონაწერი, რომლის მიხედვით აპარატის მიერ ამ უკანასკნელი პროექტის განსახორციელებლად ჩარიცხული 49 441 ლარიდან არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ ხელზე გატანილმა თანხამ 15 052 ლარი შეადგინა, რაზედაც არასამთავრობო ორგანიზაციას სალარო ოპერაციების ამსახველი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია.

აუდიტის ჯგუფის მიერ გაკეთდა დანახარჯების ანალიზი. დღევანდელი საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ტურისტული ფირმების მიერ შემოთავაზებული ჩეხეთში 7დღიანი ტურის ფასი საშუალოდ 444 ევროს შეადგენს, რომელშიც შესულია ყველა ხარჯი კერძოდ: მგზავრობის, სასტუმროს, დაზღვევის, შიდა ტრანსპორტირება და კვება. შესაბამისად, 11 ადამიანის ხარჯი სულ 4 884 ევროს ანუ 9935 (1 ლარი-2,074ევრო 08.08.12) ლარს შეადგენს. აქედან გამომდინარე პროექტის მთლიან დანახარჯებს სავარაუდოდ 15 000 ლარისთვის არ უნდა გადაეჭარბებინა, თუმცა პროექტის ფაქტობრივმა დანახარჯმა 48 789 ლარი შეადგინა, რაც 70%-ით აღემატება საბაზრო ფასს.

4.5 პროექტი- „პედაგოგი-მშვიდობის რესურსი“

პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 15 მარტის N321 ბრძანებით, პედაგოგთა კავშირ „განათლება და სამყაროს“, საქართველოში განსახორციელებელი პროექტის „პედაგოგი-მშვიდობის რესურსი“ სრულფასოვნად განხორციელების მიზნით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან აპარატს გამოეყო 52214 ლარი.

ანგარიშის თანახმად სამოქმედო გეგმა შედგებოდა 9 აქტივობა აქტივობისაგან:

• საინფორმაციო ვორკ-შოპი ზუგდიდში;

• სემინარი ტრენერ-პედაგოგებთან ქალაქ ბათუმში;

• ტრენინგების ციკლი ოკუპირებული ტერიტორიის, ბაღდათის და ქუთაისის სამიზნე სკოლების პედაგოგებთან;

• პედაგოგთა „ტოლერანტობის საზაფხულო სკოლა“ ქობულეთში;

• „პედაგოგი მშვიდობის რესურსი“ - ქართველ და აფხაზ პედაგოგთა თანამონაწილეობით მეთოდური დამხმარე სახელმძღვანელოს გამოცემა;

• ტოლერანტობის ღია გაკვეთილების კვირეული სამიზნე სკოლებში;

• „თანატოლი თანატოლს“ - თემატური კონკურსი აფხაზი და ქართველი მოზარდებისათვის;

• სამოქალაქო ფორუმი - „პედაგოგთა წვლილი მშვიდობისა და ნდობის დამკვიდრებაში“;

• „ტოლერანტობის“ საგანმანათლებლო ცენტრების დაფუძნება.

პროექტის მესამე ეტაპი- ანგარიშში წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, მიმდინარეობდა აპრილიდან ივნისის ჩათვლით და მასში მონაწილეობდა უკვე

¹⁰ RS.ge

გადამზადებული ოკუპირებული ტერიტორიიდან 10 და იმერეთიდან 5 პედაგოგი, მიმდინარეობდა ტოლერანტობის საფუძვლების მეთოდის გაცნობა და მათი პრაქტიკული გამოყენება საგაკვეთილო პროცესში.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, გაფორმდა ანალოგიური შინაარსის 15 ხელშეკრულება 15 პედაგოგთან 2 თვის ვადით (1.05.12-დან 1.07.12-მდე). ხელშეკრულებების მიხედვით, თითოეულ პედაგოგს, თავისი სამოქმედო არეალის ფარგლებში უნდა ჩეტარებინა 12 ტრენინგი და მოემზადებინა თითოეულს 20 პედაგოგი, საერთო ჯამში უნდა ტრენინგი უნდა ჩატარებოდა სულ 300 პედაგოგს.

პედაგოგთა კავშირის ნარატიული ანგარიშის მიხედვით, ტრენინგები ჩატარდა აფხაზეთის 9 საშუალო და იმერეთის 6 საჯარო სკოლის 300-მდე პედაგოგისთვის. იმერეთის მხარის ტრენინგების ჩატარებას მონიტორინგს და კოორდინაციას უწევდა იმერეთის კოორდინატორი, ოკუპირებულ მხარეში კოორდინატორი- ოკუპირებული ტერიტორიიდან ერთ-ერთი სკოლის წარმომადგენელი.

წარმოდგენილი ნარატიული ანგარიშიდან გამომდინარე, მასწავლებლების უმეტესი ნაწილი (10 პედაგოგი) საქმიანობდა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ამ ღონისძიებისთვის დაიხარჯა სულ 17880 ლარი, მათ შორის ტრენინგების ციკლის კვებითი უზრუნველყოფისთვის (12 დღე, 260 პედაგოგი) 12000 ლარი, საკანცელარიო მასალა 840 ლარი, ტრენინგების ჰონორარი 5040 ლარი. კვებით მომსახურებაზე ხელშეკრულებები გაფორმებული იყო ორ ი/მეწარმესთან თითოეულთან 6000 ლარის ღირებულებით.

შესყიდვის დოკუმენტების მიხედვით, ი/მეწარმესთან¹¹ 2012 წლის 1 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შეძენილია და მიწოდებული 7 მაისიდან 26 მაისის პერიოდში, (ქ. ქუთაისი, წერეთლის N52) 6000 ლარის საქონელი და გამოწერილია 12 სასაქონლო ზედნადები, იდენტური პროდუქციით (ფენოვანი ხაჭაპური-480 ცალი, ლობიანი ფენოვანი-480ცალი, პეჩენია ნამცხვარი- 480 ცალი, ლიმონათი 120 ცალი, ყავა 480 ცალი, მინერალური სასმელები - 240 ცალი, დიდი პიცა-120 ცალი, ერთჯერადი ჭიქა-480 ცალი, ერთჯერადი თევზი-480 ცალი, ხელსახოცები-24 ცალი, ჰოთ-დოგი-480 ცალი) მათ შორის 1 დღეს, 26 ივნისს (22:48 საათზე), მოწოდებულია 2000 ლარის პროდუქტი.

ასევე, შესყიდვის დოკუმენტების მიხედვით, ი/მეწარმესთან¹² 2012 წლის 1 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შეძენილია და მიწოდებული (ქ. ქუთაისი, წერეთლის N52) 6000 ლარის საქონელი (უმთავრესად სხვადასხვა სახის ტკბილეული, შაქარი, ყავა, ჩაი, ერთჯერადი ყავები და ა.შ)

აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდა კვებით მომსახურების მიწოდება ოკუპირებული გალის, ოჩამჩირის და ტყვარჩელის რაიონებში. მაშინ როცა პროექტის განხორციელების ადგილად, მითითებული იყო იმერეთისა და აჭარის რეგიონები, ხოლო საქონლის (საკვები, მალფუჭებადი სხვადასხვა პროდუქტი) მიწოდების ადგილად მითითებულია ქ. ქუთაისი, კერძოდ პედაგოგთა კავშირის ფაქტობრივი განთავსების ადგილი.

ნარატიული ანგარიშის მიხედვით პროექტის ყველა ეტაპის (9 ეტაპი) მონაწილეები იყვნენ გალის რაიონის პედაგოგები და მოსწავლე-ახალგაზრდობა, ხოლო ყოველივე ამის ხელშემწყობი აფხაზეთის ა/რ განათლების სამინისტროს გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, რომლის უფროსიც პროექტის მიმდინარეობის პერიოდში იღებდა ანაზღაურებას, როგორც პროექტის ერთ-ერთი მონაწილე.

¹¹ ი/მ გ. კუხალიშვილი ს/კ N62001015284.

¹² ი/მ ნ. შალამბერიძე ს/კ N6000200980.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წერილის პასუხად აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2015 წლის N94 საპასუხო წერილით ირკვევა, რომ გალის რესურსცენტრის თანამშრომლებმა 2012 წელს, ხელი შეუწყეს მასწავლებლების და მოსწავლე-ახალგაზრდობის გადმოყვანას ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელი საზღვრების სკოლებიდან, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ა(ა)იპ-„პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“-ს მიერ 2012 აპრილში ბათუმში და ივნისში ქობულეთში ორგანიზებულ ტრენინგში.

შესაბამისად პედაგოგთა კავშირის მიერ განხორციელებული პროექტის მხოლოდ 2 ეტაპში იღებდნენ მონაწილეობას გალის რაიონის ოკუპირებული ტერიტორიებიდან წარმომადგენელი პედაგოგები და მოსწავლე ახალგაზრდები, ნაცვლად ნარატიულ ანგარიშში ხსენებული 9 ეტაპისა. აღნიშნულთან დაკავშირებით აპარატმა ვერ უზრუნველყო პედაგოგთა კავშირის წევრების გამოცხადება განმარტების მისაღებად.

პედაგოგთა კავშირის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, ამ ორი ღონისძიების ფაქტობრივმა ხარჯებმა სულ 9393 ლარი შეადგინა. გარდა ამისა, კავშირის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ხელფასებისთვის გახარჯულ იქნა 12348 ლარი, ადმინისტრაციული ხარჯებისთვის 6389 ლარი, ჯამში ხარჯებმა 18737 ლარი შეადგინა. პროექტის მიმდინარეობის ვადად განისაზღვრა 10 თვე. აპარატის ბრძანებით, რომელიც ფაქტობრივად წარმომადგენდა საქმიანობის გახორციელებაზე გაცემულ ნებართვას, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია ვალდებული იყო ყოველ 6 თვეში წარედგინა ანგარიში პროექტის მიმდინარეობაზე, თუმცა ანგარიში წარდგენილ იქნა ერთიანად, 2012 წლის 13 დეკემბერს, რაც მიუთითებს აპარატის ხელმძღვანელობის მხრიდან მონიტორინგის სისუსტეზე. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი დაფინანსება პროექტის დაწყებისთანავე ერთიანი ტრანშით გადაერიცხა არასამთავრობო ორგანიზაციას. ანგარიშის თანახმად, პროექტის საკასო ხარჯმა 51823 ლარი შეადგინა, საიდანაც 23540 ლარის მიზნობრივად ხარჯვაზე ვერ იქნა მიღებული საკმარისი და შესაფერისი რწმუნება.

5. მივლინებები

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში აპარატის მიერ „მივლინებების“ მუხლით გაწეულმა საკასო ხარჯმა 2012 წელს 249 933 ლარი, 2013 წელს 106 025 ლარი, ხოლო 2014 წელს 126 102 ლარი შეადგინა.

მივლინებების აუდიტით გამოვლინდა შემდეგი:

2012 წელს სახელმწიფო მინისტრზე მივლინებებისას საავანსო თანხები გაიცემოდა არა ნორმიდან გამომდინარე, არამედ მინისტრის თანაშემწის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. თანხები მნიშვნელოვნად აღემატებოდა მივლინების ბრძანებიდან გამომდინარე დაანაგარიშებულ საავანსო თანხებს. წლის განმავლობაში ნორმის ზევით გაცემულმა ავანსმა სულ 73 837 ლარი შეადგინა, მათ შორის ქვეყნის გარეთ მივლინებებზე 71 327 ლარი, ხოლო ქვეყნის შიგნით მივლინებებზე 2 510 ლარი. ავანსის ზევით გაცემული თანხები ერიცხებოდა მინისტრს პირად სახელფასო ანგარიშზე და მივლინებებიდან დაბრუნების შემდეგ გარკვეული პერიოდი რჩებოდა მის განკარგულებაში. ასე მაგალითად:

სახელმწიფო მინისტრის 2012 წლის 18 იანვრის N2 ბრძანებით, მინისტრის თანაშემწის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გაიცა ავანსად 24 148 ლარი, საიდანაც კუთვილი საავანსო თანხის ზევით გაცემულმა განაცემმა 4 328 ლარი შეადგინა, რომელიც სამი თვის განმავლობაში იყო მინისტრის განკარგულებაში.

სახელმწიფო მინისტრის 2012 წლის 4 აპრილის N20 ბრძანებისა და თანაშემწის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გაიცა ავანსად კუთვნილზე 10 515 ლარით მეტი თანხა, რომელიც იმყოფებოდა სახელმწიფო მინისტრის განკარგულებაში ერთი თვე.

სახელმწიფო მინისტრის 2012 წლის 5 ოქტომბრის N66 ბრძანებისა და თანაშემწის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გაიცა ავანსად კუთვნილზე 13 627 ლარით მეტი თანხა, რომელიც 2 თვის განმავლობაში იმყოფებოდა მინისტრის განკარგულებაში.

2012 წლის 7 აგვისტოს N61 ბრძანებით, 13-20 აგვისტოს გაემგზავრა დომინიკის რესპუბლიკაში. ფაქტობრივ ხარჯებს ზევით გაცემულმა თანხამ, რომელიც დაბრუნდა ხაზინაში 27 აგვისტოს. შეადგინა 14 614 ლარი.

სახელმწიფო მინისტრის 2012 წლის 18 იანვრის N2-მ ბრძანებით სახელმწიფო მინისტრი 24 იანვრიდან 7 თებერვლის ჩათვლით მივლინებულ იქნა ეთიოპიასა და აშშ-ში. მივლინების ბრძანებაში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ ვადაზე ადრე მოხდა ეთიოპიიდან აშშ-ში გამგზავრება, ასევე 2 დღით გაიზარდა მივლინების პერიოდი აშშ-ში, თუმცა რწმუნება აუდიტის ჯგუფის მიერ აღნიშნული ცვლილებების განხორციელების საჭიროებაზე ვერ იქნა მიღებული. ბილეთის გადაცვლა განხორციელდა 4-ჯერ, რამაც 4 938 ლარით გაზარდა მისი პირვანდელი ღირებულება.

6. კავშირგაბმულობის ხარჯი (მობილური ტელეფონები)

2012 წელს აპარატის მიერ მობილურ კავშირგაბმულობაზე გაწეულმა ხარჯმა 31 271 ლარი შეადგინა (ანუ ოფისის ხარჯების 43%). ხაზგასასმელია, რომ მომდევნო 2013 წელს ანალოგიური ხარჯი 242%-ით შემცირდა და 12 897 ლარი შეადგინა (ოფისის ხარჯების 12%-ი), ხოლო 2014 წელს ხარჯი 2012 წლის ხარჯთან მიმართებაში 161%-ით შემცირდა და 19 417 ლარი (ოფისის ხარჯების 26%-ი) შეადგინა.

აპარატის თანამშრომელთათვის თვის განმავლობაში მობილური ხარჯის ლიმიტები დგინდებოდა სახელმწიფო მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებებით. ულიმიტოა მხოლოდ სახელმწიფო მინისტრის სარგებლობაში არსებული მობილურის ნომერი. სახელმწიფო მინისტრის 2012 წლის 3 იანვრის N5 ბრძანებით (მასში ცვლილებების და დამატებების შეტანამდე) სამსახურებრივი საჭიროებისთვის მობილური ტელეფონის ლიმიტი დაუდგინდა აპარატის 14 თანამშრომელს (მათ შორის ერთი ულიმიტო), ბრძანების თანახმად 13 ნომერზე დაწესებული ლიმიტების მაქსიმალურ ხარჯს თვის განმავლობაში 1 180 ლარი უნდა შეედგინა, წლის მაქსიმალურ ხარჯს 14 160 ლარი, მაშინ როცა როგორც უკვე აღვნიშნეთ ფაქტიურმა ხარჯმა 220%-ით მეტი ანუ 31 271 ლარი შეადგინა.

აუდიტით დადგინდა, რომ 2012 წელსა და მომდევნო 2013-2014 წლებს შორის მობილურ კავშირგაბმულობაზე გაწეული ხარჯებს შორის არსებული მკვეთრი სხვაობის განმარტებულ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენდა ე.წ. ასტრა ბარათები (სულ 6 850 ლარის), რომელიც გამოიყენებოდა 2012 წელს, მაშინ, როცა აპარატს ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული და მომსახურებას უწევდა, როგორც „მაგთიკომი“ ასევე „ჯეოსელი“. შესაბამისად აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სათანადო რწმუნება ასტრა ბარათების გამოყენების საჭიროებაზე, ამასთან ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ასტრა ბარათების გამოყენებით აღრიცხვის რისკი მნიშვნელოვნად იზრდებოდა, ვინაიდან შეუძლებელია ბარათების მიზნობრივ გამოყენებაზე რწმუნების მიღება, აპარატის მიერ დგებოდა უწყისები, რაზეც თანამშრომლები ხელმოწერით ადასტურებდნენ ბარათის მიღებას, ხოლო რაც შეეხება

მათ ხარჯვას, აღნიშნულზე კონტროლის მექანიზმი აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში დანერგილი არ ყოფილა.

უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წელს ასტრა ბარათებით სარგებლობდა აპარატის სამი დეპარტამენტის უფროსი. აუდიტის ჯგუფის მიერ გაკეთდა ანალიზი და დადგინდა, რომ ხსენებული სამი თანამშრომლის მიერ 2013 წელს ფაქტიურად გაწეულ დანახარჯი 330%-ით შემცირდა 2012 წლის დანახარჯთან მიმართებაში.

7. საწვავის ხარჯი

2012 წელს აპარატის საკუთრებაში არსებულ 8 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაწეულმა ფაქტიურმა ხარჯმა სულ 109.5 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის საწვავის ხარჯმა 83.5 ათასი ლარი (76%-ი). 2013 წელს 10 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაწეულმა ფაქტიურმა ხარჯმა სულ 67.2 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის საწვავის ხარჯმა 49.7 ათასი ლარი (74%), ხოლო 2014 წელს 9 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე სულ გაწეულმა ხარჯმა 95.1 ათასი ლარი, მათ შორის საწვავის ხარჯმა 71.1 ათასი ლარი (75%-ი) შეადგინა.

საწვავი გაიცემოდა სახელმწიფო მინისტრის ბრძანებ(ებ)ის საფუძველზე დამტკიცებული ლიმიტების შესაბამისად. ულიმიტო იყო მხოლოდ სახელმწიფო მინისტრის დაქვემდებარებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებები. აუდიტს პერიოდში მინისტრზე მიმავრებული იყო ორი ავტოსატრანსპორტო საშუალება.

2012 წელს საწვავის ხარჯი 68%-ით აღემატებოდა 2013 წელს გაწეულ საწვავის ხარჯს და 18 %-ით 2014 წელს გაწეულ ანალოგიურ დანახარჯს მაშინ, როცა 2013-2014 წლებში აპარატის დაქვემდებარებაში მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალება ირიცხებოდა. აღნიშნულის დასადაგენად იქნა შესწავლილი იქნა საწვავის ხარჯები აპარატის თითოეულ ავტომობილზე და დადგინდა, რომ 2012 წელს აპარატის დაქვემდებარებაში არსებული 8 ავტომობილიდან მთლიანი დანახარჯის 53%-ი მოდის 2 ავტომობილზე (მიმავრებული სახელმწიფო მინისტრზე) TOYOTA¹³ 200 და TOYOTA¹⁴ Prado. ხაზგასასმელია, რომ აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში აპარატის მიერ ბრძანების საფუძველზე გაცემული საწვავების დანიშნულებისამებრ ხარჯვის კონტროლი ანუ ავტომობილების (ე.წ. ოდომეტრებით) გავლილი მანძილის აღრიცხვა არ წარმოებდა.

2013 წლის 18 მარტით დათარიღებული N91942 მიღება-ჩაბარების აქტით (შედგენილია შპს „ტოიოტა-ცენტრი-თბილისის“ მიერ) ერთ-ერთი ავტოტექნიკოსის სერვისის გაწევის შემდგომ ირკვევა, რომ TOYOTA Land Cruiser 200-ის სახ. ნომრით (FCF 061) ავტომობილის გარბენი აღნიშნული პერიოდისთვის შეადგენდა 31708 კმ-ს, მაშინ როცა ავტომობილი შეძენილი იყო 2011 წლის დეკემბრის თვეში და შეძენიდან 2013 წლის თებერვლის თვის ჩათვლით გახარჯული იყო 14650 ლიტრი საწვავი. შესაბამისად საწვავის რაოდენობიდან გამომდინარე საპასპორტო მონაცემების მაქსიმალური წვის გათვალისწინებით (19 ლიტრი 100 კმ-ზე, ქალაქის პირობებში) აღნიშნული პერიოდისთვის ავტომობილს გავლილი უნდა ჰქონოდა არანაკლებ 77 105 კმ, ნაცვლად 31 708 კმ-ისა, ანუ 45 400 კმ-ით მეტი.

¹³ TOYOTA LandCruiser 200 სახ. ნომრით FCF - 061

¹⁴ TOYOTA LandCruiser Prado სახ. ნომრით NVM-343

აღნიშნული შეუსაბამობის გამომწვევი მიზეზების დადგენის მიზნით, ჩატარდა სხვა ალტერნატიული პროცედურა. კერძოდ: აპარატზე საწვავის მიმწოდებელი კომპანიიდან მოწოდებული იქნა ინფორმაცია, აპარატის კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის შევსების შესახებ, კონკრეტული დროისა და რაოდენობების მითითებით. მიღებული ინფორმაცია შედარებულ იქნა აპარატის შესაბამისი თანამდებობის პირის ქვეყნის გარეთ მივლინებაში ყოფნის პერიოდთან და დადგინდა, რომ მივლინებული პირის საქართველოს ტერიტორიაზე არ ყოფნისას მასზე, მიმაგრებულ (TOYOTA LandCruiser 200 სახ. ნომრით FCF 061 და TOYOTA LandCruiser Prado სახ. ნომრით NVM-343) ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე სისტემატიურად ხდებოდა საწვავის შევსება. დაანგარიშებული იქნა 2013 წლის მარტიდან 2014 წლის დეკემბრამდე პერიოდი (მას შემდეგ, რაც აპარატი გადავიდა აღრიცხვიანობის სხვა მეთოდზე) ხსენებულ პირობებში ჩასხმულია 3845 ლიტრი საწვავი.

უფროსი აუდიტორი

ნესტან ჯანელიძე



აუდიტორი

ბორის მჭედლიშვილი

